<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №68, 14.12.2010) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „$გ^1$“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ან/და დამტკიცებული პროგრამ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ფარგლებში შეძენილ ან/და შექმნილ ქონებაზე, ასევე, კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდულ ან/და უსასყიდლოდ მიღებულ მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესაბამისი პროგრამ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ან/და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების, უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების მიღების პირობის (მიზნის) შესაბამისად, ექვემდებარება ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2021 წლის
№